კომუნიკაციის გეგმა

საქართველოს დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის კომუნიკაციის გეგმის მიზანია, საზოგადოების ყველა ჯგუფი იზიარებდეს კონცეფციის ხედვას და მონაწილეობდეს მდგრადი მომავლის შექმნაში. საკომუნიკაციო მიზნის შესაბამისად, გამოიყო 6 სამიზნე აუდიტორია, ჩამოყალიბდა თითოეულზე მორგებული გზავნილი და განისაზღვრა ამ გზავნილების გასავრცელებლად საჭირო არხები და მეთოდები.

აუდიტორიები და გზავნილები

საჯარო სექტორი	კონცეფციის მიზნების მისაღწევად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ყველა საჯარო უწყების კოორდინირებული მუშაობა და დოკუმენტის ინტეგრირება სხვადასხვა მიმართულების ეროვნულ პოლიტიკებთან და სტრატეგიებთან
კერძო სექტორი	მდგრად ბიზნესმოდელებზე გადასვლას ახლავს უამრავი ეკონომიკური შესაძლებლობა და ინოვაციის პოტენციალი, რომელიც ბიზნესებმა საკუთარი საქმიანობის გაფართოებისა და ზრდისთვის შეიძლება გამოიყენონ
არასამთავრობო სექტორი, აკადემიური წრეები, კვლევითი ორგანიზაციები	კონცეფციის მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანესია თქვენი ექსპერტიზა, ამიტომ გთავაზობთ თანამშრომლობას
საერთაშორისო პარტნიორები, დონორები	სდგგკ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის გლობალური ძალისხმევის ნაწილია, შესაბამისად, მის უზრუნველსაყოფად საქართველო საჭიროებს საერთაშორისო და ფინანსურ მხარდაჭერას
მედია	სდგგკ არის კლიმატის ცვლილების შესახებ ქვეყნის გრძელვადიანი ხედვის მთავარი დოკუმენტი, ამიტომ მნიშვნელოვანია, მედიამ თვალი ადევნოთ მის განხორციელებას და უზრუნველყოთ საზოგადოების ინფორმირება
ფართო საზოგადოება	კონცეფციის აღსრულება თითოეული ჩვენგანისთვის უზრუნველყოფს სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მიღებას; მდგრადი მომავლისთვის, კონცეფციის განხორციელების პროცესში მონაწილეობა ჩვენი საერთო პასუხისმგებლობაა

საკომუნიკაციო მიზნის მისაღწევად და შერჩეულ აუდიტორიებამდე შესაბამისი გზავნილების მისატანად საჭიროა სამი ძირითადი საკომუნიკაციო არხის გამოყენება: მედიახილვადობა, ციფრული კომუნიკაცია და პირისპირ კომუნიკაცია.

თითოეული ამ მიმართულებით კომუნიკაციის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებითა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მუდმივი წახალისებით, უნდა გაჩნდეს განცდა, რომ კლიმატნეიტრალურობა და ძლიერი ადაპტაციის შესაძლებლობები ჩვენი, ყველას საერთო მიზანია, რომლის მიღწევაც ერთობლივი ძალისხმევით შეგვიძლია.

weg
World Experience for Georgia

UNDP

მომზადებულია საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების
გრძელვადიანი კონცეფციის განხორციელების საგზაო რუკაზე დაყრდნობით